

# ტრადიციული მედიცინა


## სინდრომოლოგიური დიაგნოსტიკა ჰომეოპათიაში

თ. ალაშვილი, თ. ჯანტურია

ტრადიციული მედიცინის საქართველოს ლიბა, №13 პოლიკლინიკია,  
ჰომეოპათიური განყოფილება.

დიაგნოსტიკისა და პათოლოგიის კლასიფიკაციის საკითხები უმთავრესია მედიცინაში. როცა ვლავარაკობთ ძველი ქართული ტრადიციული მედიცინის აღორძინებასა და პრაქტიკაში მის ფართოდ დანერგვაზე, პირველ ადგილზე სწორედ ასეთი ზოგადი თეორიული საკითხების შესწავლა და გაანალიზება უნდა დაგაყენოთ.

ძველად მედიცინა ვერ წვდებოდა ისე ღრმად დაავადებათა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის საკითხებს, როგორც ეს ახლა გახდა შესაძლებელი. ამიტომაც ძველი მეურნალები დაავადებათა კლასიფიკაციის საკითხებში ვერ გამოიყენებდნენ იმ ეტიო-პათოლოგოლოგიურ პრინციპებს, რომლებიც თანამედროვე ნიზოლოგიურ დიაგნოსტიკაშია დამკვიდრებული. მიუხედავად ამისა, ძველი ტრადიციული მედიცინის დიაგნოსტიკის საკითხები დღევანდელ დღეს აქტუალური უნდა იყოს, ვინაიდან მას სრულიად განსხვავებული, დედუქციურ აზროვნებაზე დამყარებული მიდგომები უდევს საფუძვლად. ძველი მედიცინა ყურადღებას აქცევდა მსგავსებას ბუნებასა და ადამიანს შორის, სწავლობდა რიტმული ცვლილებებისა და წონასწორობის დაცვის ზოგად კანონზომიერებებს.



ნახ. №1

შემერული ცივილიზაციიდან დაწყებული ქართულ, არაბულ და ბერძნულ ტრადიციულ სამედიცინო სისტემებში ოთხი ელემენტია გამოყოფილი: „ჰაერი“, „ცეცხლი“, „მიწა“ და „წყალი“. ორგანიზმში მათი შესაბამისია: „სისხლი“, „ზაფრა“ („ყვითელი ნაღველი“), „სევდა“ („შავი ნაღველი“ ანუ, როგორც მ. ჯანელიძე აღნიშნავს, ვენური სისხლი) და „ბაღლამი“ (ლორწო, „თელგმა“, ლიმფა). ბუნების 4 ელემენტს 4 ზოგადი თვისება გააჩნია: „სიმხურვალე“, „სიგრილე“, „სინოტივე“ და „სისხმელე“. ამ თვისებების მიხედვით, კოორდინატულ სისტემაში, 4 ჰუმორის და ასევე 4 ჯგუფის წამლების დახარისხება ხდება [1,3] . (ნახ. 1).

ქართულ ტრადიციულ მედიცინაში 4 ჰუმორს შორის წონასწორობის დარღვევით განპირობებულია არა მარტო 4 სინდრომის, არამედ ადამიანის 4 კონსტიტუციის არსებობა. მაგალითად: „სისხლის“ სიჭარბით გამოწვეული მოვლენებია: სახისა და ენის გაწითლება, თავის დამძიმება, ცხვირიდან და ღრძილებიდან სისხლდენა, კანზე მუწუკების გამოყრა და სხვა. „ყვითელი ნაღველის“ სიჭარბის ნიშნებია: სახისა და თვალების სიყვითლე, პირში მწარე გემო, პირღებინების შეგრძნება, ძლიერი წყურვილი, უმადობა, კანკალი, სიმხურვალის შეგრძნება. „შავი ნაღველის“ ნიშნებია: სახისა და ტანის კანის მუქი ფერი, სხეულში სიმშრალე, კუჭის წვა, მუდმივად შიმშილის გრძნობა, ძილის დარღვევა, შინაგანი დაძაბულობა და უხასიათობა. „თელგმის“ სიჭარბის ნიშნებია: კანის თეთრი ფერი, სხეულში სისუსტე, მოღუნება, ძილიანობა, სიცივის შეგრძნება, წყურვილის დაქვეითება, მწარედ ამობოყინება და ა.შ.

ჩინურ მედიცინაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ცნებებს „ინი“ და „იანი“. ეს ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ძალაა, რომელთა ჭიდილი, პაექრობა და ურთიერთგადასვლა განაპირობებს ბუნებასა და ადამიანში ყველა ცვლილებასა და ციკლებს. „ინი“ - ქალური საწყისია, პასიური, გრილი, მუქი, დიდი, მასიური და ამიტომ ქვევით მიისწრაფვის. „იანი“ კი მამაკაცური საწყისია - მხურვალე, აქტიური, ნათელი, მსუბუქი და ზევით მიისწრაფვის. „ინი“ ზრდისა და აღმშენებლობის ძალაა, რომელსაც სივრცეში გაფართოების ტენდენცია აქვს. „იანი“ - დამშლელი ძალაა, ფორმის მიმცემი, რომელიც ზღუდავს სივრცეში გაფართოების ტენდენციას და ფორმას ანიჭებს ყოველ ბიოლოგიურ სუბსტრატს. „ინი“ ცდილობს შეანელოს ორგანიზმის გარემოზე რეაგირება, გაზარდოს ასიმილაციის პროცესი (ნიშანი, მატება), „იანი“ კი პირიქით – ამბაფრებს ორგანიზმის რეაქტიულობას, აძლიერებს დისიმილაციურ პროცესებს. მაშასადამე „ინის“ სიმპტომოკომპლექსი ანალოგიურია გლუკოკორტიკოსტეროიდების მოქმედებისა, მაშინ როდესაც „იანის“ სიმპტომოკომპლექსი-კატექოლამინების.

ბუნებაში მზე „იანია“, მთვარე - „ინი“, ცა - „იანია“, მიწა - „ინი“, ღღე, ზაფხული - „იანია“, ღამე, ზამთარი - „ინი“.

პათოლოგიის კლასიფიკაციისას ჩინური მედიცინა 4 ძირითად სინდრომს გამოყოფს: „დიდ იანს“, „დიდ ინს“, „მცირე იანსა“ და „მცირე ინს“. მცირე ანუ შეფარდებითი „ინ“ და „იან“ სინდრომები - გარდამავალი მდგომარეობებია დიდ (აბსოლუტურ) „ინ“ და „იანს“ შორის (როგორც დილა და საღამო ან გაზაფხული და შემოდგომა).

ნათლად ჩანს ჰუმორულ თეორიასა და ჩინური მედიცინის სინდრომებს შორის (ცხრილი 1) კავშირი.

შედარებით რთული იყო კავშირის მოძებნა ძველ ქართულ ტრადიციულ მედიცინასა, ინდურ აიურვედულ მედიცინის 3 „დოშას“ (ანუ ჰუმორს) და ჰომეოპათიურ მიაზმებს შორის. აიურვედული მედიცინა ძირითადად 3 სინდრომს და ადამიანის 3 კონსტიტუციას განიხილავს. ეს არის „კაპხა“, რომელიც აგრეთვე, „ბიოლოგიური წყალია“, „პიტტა“ - „ბიოლოგიური ცეცხლი“ და „ვატა“ - „ბიოლოგიური ჰაერი“ (ქარი). თავისი აღწერილობით „კაპხა“ - „დიდი იანია“, „პიტტა“ - „დიდი იანი“, „ვატა“ - მცირე ინი („სევდა“). მეორე გარდამავალ მდგომარეობას, „მცირე იანს“ შეესაბამება კომბინირებული დოშა: „კაპხა - პიტტა“.

ჰომეოპათია ახარისხებს პათოლოგიური რეაქციების ფორმებს 3 ძირითად ჯგუფად: Psora - ჰიპორეაქცია, Sycoze - ჰიპერრეაქცია და Syphilinum - დესტრუქციული რეაქცია [2,4,5,6]. ჩვენ ვნახეთ ჰომეოპათიური მიაზმების მსგავსება ტრადიციული სამედიცინო სისტემების ძირითად სინდრომებთან, როგორც ეს გამოსატყულია პირველ ცხრილში. მეოთხე მიაზმი: Tuberculinum - კომბინირებული მიაზმია (Psora + Syphilinum), რომელიც „შავი ნაღველის“ სინდრომის ანალოგიურია.

ჰომეოპათიაში Psora-სადმი მიდრეკილება აქვს კარბონიკურ კონსტიტუციას, რომელიც ფიზიკური აღნაგობით ჰიპერსტენიურია, Tuberculinum-სადმი - ფოსფორულ ტიპს, რომელიც ასთენიურია. Sycoze ემართება სულფურულ ტიპს, რომელიც ავადმყოფობისას წონაში იმატებს, Syphilinum - კი ფლუორიკულს, რომელიც ავადმყოფობის დროს წონაში მკვეთრად იკლებს. თუ დავუბრუნდებით ჰუმორული თეორიის ძირითად დებულებებს, ვნახავთ, რომ თვისება „სიხმელე“ კავშირშია სიგამხდრესთან, ორგანიზმის გამოფიტვა-გამოშრობასთან, მაშინ როდესაც „სინოტივე“ - სიმსუქნესთან, პასტოზურობასთან.

ცხრილი №1

სინდრომები: ლორწო, ლიმფა	თელგმა (ბალღამი, ლიმფა)	სისხლი	ყვითელი ნაღველი (ზაფრა)	შავი ნაღველი (ვენური სისხლი, სეველა)	
	თვისებები:	გრილი, ნედლი	მსურვალე, ნედლი	მსურვალე, ხმელი	
	ტემპერამენტი:	ფლეგმატური	სანგეინური	ქოლერული	მელანქოლური
სინდრომები:	“დიდი „ინი	მცირე „იანი“	დიდი „ინი“	მცირე „იანი“	
	პრინციპი:	მინიმალური აქტიურობა	აღმაგლობა	მაქსიმალური აქტიურობა	უკუგანვითარება
აიურვედული მედიცინა	წელიწადის დრო:	ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა
	ოთხი ელემენ- ტის შესაბამისი სინდრომები	„კაპხა“ (ბიოლო-გიური წყალი)	„კაპხა-პიტტა“	„პიტტა“ (ბიოლო- გიური ცეცხლი)	„ვატა“ (ბიოლოგიური ჰაერი)
	კონსტი- ტუციები:	მსუქანი, მცივანა, ადინამიური, მშიშარა	ძლიერი, ჩაფსკვნილი, სტენიური რეაქციებით	მსურვალე, ბრაზიანი	მაღალი, გამხდარი, ძალზედ მოძრავი
მიაზმები:	„ფსორა“	„სიკოზი“	„ლუესი“	ტუბერკულინიზმი „ფსორა+ლუესი“	
	პრინციპი:	ჰიპორეაქცია	ჰიპერეაქცია	ტორპედული დესტრუქცია	
	ძირითადი ნიშნები:	კანზე გამონაყარი ქავილით, ლიმფური ჯირკვლების დასიება	მგრძობელობა ნესტის მიმართ, მეჭეჭები, კონდილომები	უსაშველო ოფლიანობა, ძვლების ტკივილი ღამით	ხშირი გაციება, ლიმფატიზმი, ინფექციები გართულებებით
	ფსიქიკა:	ინერტულობა, შინაგანი დაძაბულობა	სინარული, ცოცხალი რეაქციები, აფექტები, იოლად გაღიზიანება	აგრესიულობა, უნდობლობა, აუტოაგრესია, რევოლუციონ- ნერი	დეპრესია, აპათია და ფსიქოასთენია გადაჭარბებულ აქტიურობასთან ერთად
	ფიზიკური აღნაგობა:	ჰიპერსტენიური , პიკნიკი	ალპური	ასიმეტრიული	ასთენიური
ერთეულები ზოლოგური	ძირითადი შესაბამისი დაავადებები:	რაქიტი, ანემია, ატონური კოლიტი, ანაციდური გასტრიტი, იმუნო- დეფიციტები, ჰიპოტონია, ლიმფური ღიათეზი	ალერგიული და აუტოიმუნური პროცესები, ჰიპერაცდიზი, ჰიპერტონია, ფიბროადენო- მები, მიომები, მეჭეჭები, კენჭოვანი დაავადებები, ართრიტები	ღრმა დაჩირქებები, დისტროფიუ- ლი და წყულლოვანი პროცესები, სეკვესტრაცია, პარანოია	ქრონიკული რინიტი, ქრონიკული კონიუქტივიტი, დამბლები, ტუბერკულოზი, დეპრესია, ნევრასთენია

მაშასადამე, ქართული ტრადიციული მედიცინის, ისევე როგორც ჰომეოპათიისა და აღმოსავლური სამედიცინო სისტემების დიაგნოსტიკა სინდრომოლოგიურია. პათოლოგიის კლასიფიკაციის საკითხებში ისინი გამოიყენებენ მსგავს პრინციპებს, რაც ტრადიციული სამედიცინო სისტემებისა და ჰომეოპათიის ძირითადი სინდრომების შედარების საშუალებას იძლევა. შესაძლებელია, აგრეთვე, მათი გამოცდილების კომპლექსური გამოყენება მკურნალობის სფეროშიც.

ინდივიდუური თერაპიისათვის ტრადიციულ სინდრომოლოგიურ დიაგნოსტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სინდრომოლოგიური დიაგნოსტიკა არ შემოიფარგლება დაავადების ლოკალიზაციით და მოიცავს ორგანიზმის მთლიანობას, ადამიანის ფსიქიკას, კონსტიტუციას, ინდივიდუალურ რეაქტიულობას. ჰომეოპათიური მკურნალობაც გამოირჩევა იმ გარემოებებით, რომ მოქმედებს ორგანიზმის მთლიანობასა და შემდეგ ცალკეულ ორგანოებზე. ტრადიციული მედიცინა ცდილობს წონასწორობის აღდგენას ორგანიზმის მთლიანობის დონეზე, წამლების საწინააღმდეგოს ან მსგავსების პრინციპის გამოყენებით.

ტრადიციული მედიცინის სინდრომოლოგიური დიაგნოსტიკა არ ეწინააღმდეგება თანამედროვე ნიზოლოგიურ დიაგნოსტიკას (კავშირი იხილეთ პირველ ცხრილში), არამედ მხოლოდ ავსებს მას. მისი გაანალიზება და შემდგომი შესწავლა აქტუალურია თანამედროვე მედიცინაში ინდივიდუალური თერაპიის განვითარებისათვის.

## **СИНДРОМНАЯ ДИАГНОСТИКА В ГОМЕОПАТИИ, СОВРЕМЕННОЙ И ТРАДИЦИОННЫХ МЕДИЦИНСКИХ СИСТЕМАХ**

**Т. АЛАШВИЛИ, Т. ЧАНТУРИЯ**

### **Лига Гомеопатии и Грузинской Традиционной Медицины**

Вопросы диагностики и классификации болезней занимают важнейшее место в медицине, определяют её форму и характер. Так, современная научно-техническая медицина классифицирует болезни по системам, морфологическим признакам, этиологическим факторам или по степени функциональной декомпенсации. Этот подход имеет свои позитивные моменты, но его ограниченность состоит в том, что классификация болезней только те учитывает те общие признаки, которые характерны для патологии определённых органов или конкретной этиологии, не учитывает те общие, характеристика которые всегда наличествуют при различных патологиях у одного и того же индивидуума. Диагностика и классификация болезней в древних традиционных медицинских системах и гомеопатии

отличаются от современной медицины. Специалисты традиционной медицины или гомеопатии часто учитывая клинический диагноз, лечение назначают на основе «своего» диагноза. Возникает резонный вопрос: что особенного в диагностике и классификации болезней у традиционных медицинских систем и гомеопатии, что может взять отсюда, рано или поздно, на вооружение отсюда современная медицина?

Выявление общих закономерностей в этих совершенно различных медицинских системах способствуя лучшему пониманию каждой из них, создает основу для их взаимообогащения проведение комплексной терапии и создает перспективы для развития нового направления в медицине - индивидуальной, целостной терапии.

Грузинская медицина – одна из древнейших традиционных медицинских систем. Известный немецкий естествоиспытатель и историк медицины Курт Иоахим Шпренгель (1766-1833) свой пятитомный труд по истории медицины народов мира открывает главой о древнеколхидской медицине. Древние грузинские лекари хорошо были знакомы как с лечебными, так и с отравляющими свойствами растений, животных и минералов. Например, Медея (Медико) дочь царя Аиэта, была искусным лекарем и знатоком ядов. С её именем историки связывают появление латинского слова *medico* (исцелять, лечить) и термина «медицина». Существуют сведения, согласно которым сам Гиппократ путешествовал по Черноморскому побережью Колхидской низменности с целью поиска следов древней медицины [1,3]

## **FOUR CONSTITUTIONAL TYPES OF MAN AND FORMS OF PATHOLOGICAL REACTION IN GEORGIAN TRADITIONAL MEDICINE, HOMOEOPATHY AND ORIENTAL MEDICINE**

**T. ALASHVILI , T. CHANTURIA.**

Questions of diagnostics and classifications of illnesses occupy a major place in medicine, determine its form and character. For example, the modern scientific technical medicine allocates illnesses to morphological symptoms, aetiological factors or on a degree of functional decompensation. This approach has its positive moments, but it also has the limitations at the same time. The classification of illnesses takes into account that general, which is characteristic for a pathology of the certain bodies or concrete aetiology, but it does not take into account that general, which always is present at various pathologies of the same individual.

Diagnostics in homoeopathy and traditional medicine systems carries syndromological character. Syndromological diagnosis in these systems is not limited to separate bodies or systems, it includes the whole organism of the man, takes into account the constitutional type, mentality,

individual symptoms both basic disease and accompanying, transferred and as diseases showing in family anamnesis.

What is common in questions of diagnostics and classifications of illnesses in homoeopathy and traditional medical systems? This task is not investigated totally because of the large distinctions in theoretical and philosophical bases of homoeopathy and various traditions of medical systems (China, India, Georgia, etc). However without the decision of this task it is impossible to learn all value syndromological diagnosis at a level of the whole organism. The search of a uniform platform for these systems is urgent for today for both sides to enrich the experience and construction general tactics of treatment of the patient, for development of a new direction in medicine for individual and whole therapy.

The Georgian medicine has the most ancient roots. A known German naturalist and historian of medicine. Kurt Ioakhim Shprengel (1766 – 1833), in his five - languid works on a history of medicine of the worlds peoples begins with the chapter about the old Colchian medicine. Ancient Georgian doctors knew well both the medical and the poisoning properties of plants, animals and minerals. For example, Medea, a daughter of king Aietes, the heroine of a legend about Argonavts was the well – known doctor and connoisseur of poisons.

With her name the historians connect occurrence of a latin word medico (to cure, to treat) and a term „medicine“. Many kings of Georgia and their citizens tested poisons on themselves, developing the immunity. There are data that Hipokrat himself traveled on the Black Sea coast on Colchian lowland, with the task of searching of traces of ancient medicine [1,3].

Therefore it is not surprising that the basic theoretical – philosophical base of Georgian medicine was the theory about four elements and in particular about four biological liquids. These concepts Georgia has inherited from Shumerian. Then They were advanced by the Koss school and Halen. Homoeopathy has found a direct connection between the patient and medicine, whom he must treat. For the first time the ancient doctors observed the patient and compared his (her) properties at first to the elements of a nature, then studied medicine and again compared their properties to elements of a nature and only then gave medicines or diets of illnesses by a principle of opposite or similarity.

Each element has two properties, for example: „water“ - „coldness“ and „humidity“, but „Air“ – „warm“ and „humidity“, but „Fire“ – „dryness“. „Earth“, – but „cold“ and „dryness“. The ideal health corresponds to maximum steadiness between elements. The small deviation from balance determines the constitutional type of the man but the significant infringement of the balance is connected with the illness.

In sources of the Georgian medicine we have the detailed description of four constitutional types and four basic forms of pathology (syndromes). The comparative analysis of

basic syndromes and types in homoeopathy and with syndromes and types in Chinese and Indian medicine has revealed the following Conformity [2,4,5,6].

**ლიტერატურა:**

**Литература:**

1. აღაშვილი თ. - ადაპტაციური თერაპია-ჰომეოპათია, - თბილისი, - 1997წ. - გვ. 6-40.
2. სამუელ კრისტინ ფრიდრიხ ჰანემანი – სამედიცინო ხელოვნების ორგანონი, საქართველოს მაცნე”, - თბილისი, - 2006 წ., გვ 186-204.
3. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი – სამკურნალო წიგნი კარაბადინი, - “საბჭოთა საქართველო”, - თბილისი, - 1978 წ., გვ. 70-71.
4. Кёллер Г. - Гомеопатия, - М.: Медицина, -2000- ст. 152-183.
5. Ян Схолтен – Гомеопатия и минералы, Изд. «Симилия», Москва, 2000, ст. 16 – 25
6. Раджан Шанкаран – Субстанция гомеопатии, «Симилия», Москва, 1999, ст. 21-99.
7. Симеонова Н. К. - Тайны гомеопатии.- Киев. -Академпресс, 1998, ст. 3-42.